ოქმი № 13

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომისიის სხდომა

ქუთაისი, 2023 წლის 24 იანვარი 15 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
საკონფერენციო დარბაზი
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **ზ.მამასახლისი, გ.ბასილაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.ნიჟარაძე, ე.არჩაია, კ.გურული, მ.სიმონიძე, პ.ლილუაშვილი. მ. ჭოხნელიძე**

სულ: კომისიის 10 წევრი.

არ ესწრებოდა: დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, გ.კილაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე. ი.შენგელია.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ტ.მაკარიძე.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბ. მახარაძემ** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

   /ბ.მახარაძე, ტ.მაკარიძე/

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“

   /ბ.მახარაძე/

3. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** 2023 წელს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის პირველ სხდომას, რომელიც ქალაქის მთავარი საფინანსო დოკუმენტს-ბიუჯეტში შესატან პირველ ცვლილებას ეხება. მასალები თქვენთან გამოგზავნილია.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული 2023 წლის ბიუჯეტში შემავალი ცვლილელება. საკითხი გადმოგზავნილი იყო და ალბათ გაეცანით. პირველი ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით იზრდება და შეადგენს 122 548,4 ათას ლარს.

ვთხოვოთ ბატონ ტარიელ მაკარიძეს წარმოადგინოს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში პირველი ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია.

1. **მოისმინეს:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელის ბატონი **ტ.მაკარიძის** ინფორმაცია 2023 წლის ბიუჯეტის 1-ლი ცვლილების შესახებ: „მოგესალმებით და წარმოგიდგენთ 2023 წლის ბიუჯეტში პირევლ ცვლილებას. ცვლილების მიზანი იყო 2023 წლის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება. კერძოდ, დაკორექტირდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 და 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებები. ამასთან, საქართველოს მთავრობის 29/12/2022 წლის N2475 და 26/12/2022 წლის N2435 განკარგულებების შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდა 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესაბამის პროგრამულ კოდებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა განისაზღვრა ინფრასტრუქტურის განვითარებაზე - 20 813,6 ათასი ლარი. საერთო დანიშნულების ხარჯებიდან კი გაიზარდა საგრანტე პროგრამა „Escapeland - ტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნებში" - 217,6 ათასი ლარით. პირველი ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 122 548,4 ათას ლარს (ვრცელი მასალა თან ერთვის).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **მ. გურული:** „თქვენ ამბობთ რომ თანხა მთავრობა გამოგვიყო 2022 წლის 29 დეკემბერს. მაინტერესებს, თანხის გამოყოფამდე გვქონდა დაგეგმილი ღონისძიებები, თუ თანხის გამოყოფის შენდეგ მოიძიეთ რაში დაიხარჯებოდა ეს თანხა?"

ტ.მაკარიძე: „პროექტები მანამდე იყო წარდგენილი 10 მილიონ ლარზე, თუმცა, შემდგომ შეირჩა ახლანდელი მდგომარეობით და რეგიონული განვითარების ფონდიდან 9 მილიონი გამოიყო".

კომისიის წევრი **მ. გურული:** „მაინტერესებს, ამ პროექტებში თუ არის ახალგაზრდობის სახლი, რომელიც ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია, დაზიანებულია ჭერი და იატაკი. ვფიქრობ, ეს საკითხი მისახედი გვაქვს".

ტ.მაკარიძე: „ჩემს ხელთა არსებული ინფორმაციით, აღნიშnული ობიექტი არ არის ჩამონათვალში".

კომისიის თავმჯდომარე **ბ. მახარაძე:** „თუ შეკითხვები არ გვაქვს, კენჭი ვუყაროთ ბიუჯეტში პირველ ცვლილებას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 10, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას 2023 წლის ბიუჯეტის პირველი ცვლილება.

2. **მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის **ბ. მახარაძის ინფორმაცია** „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“. მან აღნიშნა: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკში განსაზღვრულია მერიის სხვადასხვა სამსახურებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან შეხვედრა ძირითადად მათი ანგარიშების და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის თვალსაზრისით. ამ პროცესის ოპტიმალურად წარმართვის მიზნით, გთავაზობთ ჩვენი კომისიის სხვა კომისიებთან (იურიდიული, ეკონომიკის) გაერთიანებული სხდომების ჩატარებას. ამიტომ შევჯერდებით კომისიების ხელმძღვანელები ამ საკითხზე და მომდევნო სხდომაზე წარმოვადგენთ. შესაბამისად შემოვდივარ წინადადებით, რომ გადაიდოს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცება“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** -10, **წინააღმდეგი** - არც ერთი,

დაადგინეს: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების” განხილვა გადაიდოს შემდეგ სხდომაზე.

ამით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მეცამეტე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე**